იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ	7 მანეთი
ნახევარი წლით	4 მანეთი
თვიურათ	4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 4
წელიწადი მეორე
1913

შაბათი, 5 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახა, მოსწიეთ პაპიროსი

15 ცალი 6 კ.
„ანი“
25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

ახა, მოსწიეთ პაპიროსი

20 ცალი 1 შაურათ
„ბელაია რომაშკა“
20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე
1913

იმერეთი

წელიწადი მეორე
1913

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7	მანეთი,
ნახევარი წლით	4	მანეთი,
ერთი თვით	4	აბაზი
და ცალკე ნუმრის	1	შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკვენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

☞ **ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:** ☜

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჭილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“—ისიდორე კვი[illegible]ძესთან, [illegible] პირდაპირ; ამბროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (ღულაძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; [illegible] სიმონ ორაგველიძესთან. სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—[illegible] ძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—[illegible] ქეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; ლანჩხუთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. [illegible]; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ვიქტორ კოსტ. ძე მარჯანიშვილი მეუღლითურთ, ოლღა თუთბერიძისა, ბარბალე ვოინოხოვსკისა, და ანა კონსტანტინე მარჯანიშვილის ასული და ერასტი სიმონის ძე თუთბერიძე შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი ძვირფასი დედის მეორე საყვარელი სიდედრის და უკანასკნელნი დაუვიწყარი ბებიის

მარიამის

გადაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 5 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

კატო მიხეილის ასული, გიორგი და ვუკოლე მიხეილის ძენი ბერიძენი, ბითიკო და ანტონ პავლეს ძენი ანჯაფარიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ—პირველი საყვარელი დედის, ხოლო უკანასკნელნი—დაუვიწყარი დის

პავლე ბერიძის ასულის ქრისტინეს

გადაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 6 იანვარს დ. ხონში, მაცხოვრის ეკლესიაზე. ცხედარს გამოასვენებენ სახლიდან ნაშუადღევის სამ საათზე.

გამართულია ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სახალხო გაზეთზე“

წელიწადი მეოთხე.

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

გაზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება** (კვირაობით)

პრემიად წლიური ხელისმომწერნი 1913 წლის განმავლობაში მიიღებენ

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები. ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ეკვენისთვეში.

გაზეთის ფასი: როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მანეთი 10 შ., ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ., 11 თ. 8 მან., 10 თ. 7 მ., 10 შ.: 9 თ. 6 მან. 5 შ., 8 თ. 6 მან., 7 თ. 5 მ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 12 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 თ. 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ, 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 აბ. დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

ხელისმოწერა გამართულია. 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დე უქმეებში დილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо газети“ поч. ящ. 190.

ქართული თეატრი.
კვირას 6 იანვარს 1913 წ.

სუმბათაშვილი:

ღალატი

დრ. ლეგ. 5 მოქმ. თარგმ. ყიფშიძისა
ოთარბეგის როლს შეასრულებს გ. გუნია.
რეჟისორი მ. ქორელი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. —◆— დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ვ. გ. გიგინეიშვილისა.

იანვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).



იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათომის მაზრისა ამ შვენიერ ხანგმლივ ფარნებისა

☛ იგა ი. ნ. ☚

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

გამოცდილი **მასწავლებლები** ამზადებენ ბავშებს ხელმისაწდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშვალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.

მისამართი „იმერეთის“ რედაქციაში.

კბილის **აქიმი** ა. დ. აბაშიძის ასული ჭიჭინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას სახლი.

აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმი. გ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადვიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

აქიმი ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

აქიმი ი. ჩარექოვი. იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7. ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი [illegible] სახლი.

დღიური

რუმინიის მთავრობამ 1 იანვრიდან 1 ივლისამდი უცხოელ მფრინავებს საზღვარზე ფრენა აუკრძალა.

— რუმინიის მინისტრს სტამბოლში უთქვამს: რუმინიისა და ოსმალეთის ინტერესები ერთგვარიაო, მაგრამ სპეციალური კონვენციის საჭიროება ჯერ არ არისო.

— დიდი სახელმწიფოებმა ოსმალეთს ნოტა უკვე გადასცეს. დარწმუნებული არიან, რომ მათი ცთა გამარჯვებით დაგვირგვინდება.

— ლონდონში ელჩთა კრებას გრეი თავჯდომარეობდა. კრებაზე ოსმალეთის ელჩები არ იყვენ.

— ბულგარეთის მინისტრმა ფედოროვმა კოკოვცევი ინახულა. ფედოროვი პეტერბურგში ორ დღეს დარჩება და შემდეგ პუანკარეს სანახავათ წავა.

რუმინიის მინისტრი რო სტამბოლს მივიდა, ეს იმის მომასწავებელია, რომ მალე ოსმალეთ-რუმინიას შორის ახალი კავშირი მოხთებაო.

— რუმინიის ჯარის ერთი ნაწილი ბულგარეთის საზღვარს მიუახლოვდა. რუმინია იმ ქალაქების ბრძოლით აღებას ფიქრობს, რომელიც უკვე მოითხოვა ბულგარეთისაგან.

— ბულგარეთმა დიდ სახელმწიფოებს, უფრო კი რუსეთს, სთხოვა დახმარება. ზომები მიიღეთ რუმინიის ვერაგულ თავდაცემის წინააღმდეგო.

— რუმინიამ რუსეთის საზღვარზე დიდძალ ჯარისკაცთ თავი მოუყარა. რუმინიის მოქმედება გერმანიის დიპლომატებში აშფოთებას იწვევს.

— გერმოგენი შეამდგომლობს, რომ ილიადორეს პოლიცია არ სდევნიდეს. ილიადორეს მომხრეთაგან ცუდი ამბებია მოსალოდნელიო.

— აზფეი ავსტრიის ფარული სამხედრო აგენტურის უფროსათ ყოფილა. იგი თავის სამსახურს პირნათლათ ასრულებს თურმე. მის რჩევას უმაღლეს წრეებშიც კი ყურს უგდებენო.

— რუმინიის ჯარმა საზღვარი გადალახა და ბულგარეთში შევიდაო.

— ოსმალეთის სამხედრო პარტია მთავრობას დაჟინებით სთხოვს: ომი განაახლეო.

— რეშიდ-ფაშამ გააცხადა: დიდი სახელმწიფოების ჩარევა ჩვენ დათმობის გზაზე ვერ დაგვაყენებსო. უმჯობესია ბრძოლაში დავიღუპოთ, ვიდრე ჩვენი ნებით გულზე ხელი დავიკრიფოთო.

— შავმთიელეთის დელეგატმა სთქვა: თუ სკუტარი შავმთიელეთს არ დარჩება ჩვენი მეფე ტახტიდან ჩამოვაო.

ნ. ნიკოლაძეს

ძველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგ წერა რომ სასიამოვნო არ არის ადვილი გასაგებია.

ძველ მოღვაწეს ბევრი რამ ეპატივება, რადგან, თუ რამე ნაკლულოვანება აქვს ბრალი იმას კი არა, მის დროს ედება. და მათი ისტორია საზოგადოთ მათს სიკვდილს შემდეგ იწერება.

და ძველმა მოღვაწემ თუ თავის რწმენას უღალატა და უძველესს, რეაქციონურ პრინციპს დაუბრუნდა და თაყვანი სცა. მაშინ მასთან კამათის სიბნელე ხომ [illegible]

სწორედ ასეთს გუნებაზე დავდექი, ამ წერილის დასაწერათ რომ კალამი ხელში დავიჭირე.

ნ. ნიკოლაძის წერილების კითხვაში ღამეები გამითევია. მისი ახალგაზრდური გატაცება ჩემს ახალგაზრდურ გულს იტაცებდა, სამოქმედოთ იწვევდა. მისი ცოცხალი, ენერგიული სიტყვა ბრძოლისთვის მოგვიწოდებდა და ძველ, დახავსებულ ტრადიციას გვაძულებდა.

მისი სტუდენტური ცხოვრების მოგონება წარმოადგენს მეცნიერული წყურვილით გატაცებული ჭაბუკის ამბოხებას ავტორიტეტის წინააღმდეგ. მისი ბრძოლა ცენზურასთან, მისი კამათი ილია ჭავჭავაძესთან ბანკის წესდების შესახებ, მისი პუბლიცისტური წერილები ,,ობზორში'' იყო ბრძოლა ტრადიციასთან, [illegible]

მაგრამ ხშირათ ერთსა და იმავე კაცს ორი სული უდგია. და ნიკოლაძეც ამგვარი კაცების ნათესავია.

უკვე მაშინ, როდესაც მთავრობასა და ახალგაზრდობას შორის შუამავლობას კისრულობდა, ის აღარ იყო სულით ახალგაზრდა, ახალი იდეალით გატაცებული ნიკოლაძე. წაიკითხე მისი ხელით დაწერილი წერილი ხსენებული სამწუხარო ამბის შესახებ, რომელმაც ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვერ ვიფიქრებდი, თუ ნ. ნიკოლაძეს იმისთანა არეულ-დარეული შეხედულობა ქონდა კონსტიტუციაზე! მაგრამ, ვფიქრობ, რომ მისი საუბარი სასახლის მინისტრთან გულწრფელი კი არ იყო, არამედ ფარისევლური. დიახ! ამ საუბარში აზრის ორჭოფობა და მლიქვნელობა ჩანს! და ვერ წარმოვიდგენდი თუ ქართველი განათლებული მოღვაწე ასეთი მონური სულით გაჟღენთილი იქნებოდა!

წარსული საუკუნის მეოთხმოცე წლებში რომ ,,ნოვოე ობოზრენიე'' გამოსცა მაშინ კი ნიკოლაძეს სრულიად უკუეგდო თავისი ძველი პრინციპები და ახალ ჰანგებზე მღერდა. მაშინ მას უფრო საპირადო ანგარიშები აწუხებდა, ვიდრე ამა ქვეყნის ძლიერებთან ბრძოლა. ჯერ, გაზეთის გამოცემის დღესვე გააცხადა თავისი შერიგება არსებულ წესწყობილებასთან და შემდეგ გამოუცხადა ულმობელი ბრძოლა რკინის გზის მთავრობას, ვიდრე ადგილი არ ჩაიგდო ხელში ,,რკინის გზაშივე''. მას შემდეგ ლიტერატურას თითქმის სულ მიანება თავი და ათასში ერთხელ თუ გამოინავარდებდა ხოლმე. რომელიმე გაზეთის ფურცლებზე.

მასუკან მისი მიზიდულობა ფულიანი ადგილებისკენ კიდევ უფრო იზდებოდა. ჯერ როდჩილდს დაექირავა და შემდეგ ფოთის ნავსადგურების აშენებაში მიიღო მონაწილეობა.

ნ. ნიკოლაძემ რომ ნავსადგურის გაკეთებით ფოთსა და, მაშასადამე, მთელს დასავლეთს საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა, უეჭველია. ამ ნავსადგურმა ზღვა დაგვიახლოვა და აქაური ალებმიცემობა გააძლიერა, გააცოცხლა. იმას არ შევეხები, რა გზით, რა საშვალებით მიაწია მან ამ მიზანს. რაც უნ[illegible] რჩება: მისი ენერგიული მეცადინეობით ფოთი მკვდრეთით აღსდგა. და მეტადრე ფოთელები მის ღვაწლს არაოდეს არ დაივიწყებენ.

მაგრამ ვფიქრობ, რომ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობამ თავისი დრო მოჭამა, და დღემდი თუ ის ფოთისთვის საჭირო იყო, ამას იქით მავნებელი იქნება.

შეიძლება, მკითხველმა გაიკვიროს და მკითხოს: თუ კი აქამდი სასარგებლო იყო, როგორ შეიძლება, აწ მავნებელი შეიქნესო?! მაგრამ ამგვარი მაგალითით სავსეა ისტორია. წაიკითხეთ „შილლერის“ ისტორია გერმანიის ოცდაათი წლიანი ომის შესახებ და დარწმუნდებით, რომ შვეციის მეფემ, გუსტავ ადოლფმა, პირველათ დიდი ღვაწლი დასდო გერმანიაში სინიდისის თავისუფლების საქმეს, მაგრამ მისმა უდროოთ სიკვდილმა იხსნა გერმანია მისი ბატონობისაგან. ბისმარკმა გერმანიას დიდი სარგებლობა მოუტანა, მაგრამ შემდეგ სულთმხუთავივით დააწვა თავზე. ნაპოლეონი პირველი საფრანგეთის მხსნელი იყო, მაგრამ შემდეგ საფრანგეთსა და მთელ ქვეყანას სული შეუხუთა, საშინელი დესპოტი შეიქნა. საფრანგეთის რევოლიუციას იაკობის კლუბის წევრებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს, მაგრამ შემდეგ მათმა უკიდურესობამ დაბადა რეაქცია. ერთი სიტყვით, ფაქტი აუარებელია.

და კიდევ გავიმეორებ, ფოთელებს ურჩევნიათ, ნ. ნიკოლაძეს შესაფერი პენსია დაუნიშნონ, ოღონდ თავიდან მოიშორონ. რის გაკეთებაც შეეძლო, გააკეთა, აწ კი იმ გზით აღარაფერი გაკეთდება; სხვა დროა და სხვა გზაა საჭირო. და, პირიქით, ის გზა რომელსაც ნ. ნიკოლაძე ადგა ფოთს დაღუპავს.

როგორც მკითხველმა იცის, ნ. ნიკოლაძე ამ ბოლო დროს სდევნის ყველას ვინც კი მის რწმენას არ იზიარებს მისი ბრალი იყო ფოთიდან იაკობ ფანცხავას წასვლა, მისი ბრალია მეუნარგიას გაშავება, ახლა კი პატივცემულს ჩუმ მოღვაწეს ესაკიას გადამტერებია და ცილის წამებით ცთილობს ბოლო მოუღოს და, ფოთელები თუ მას ასე დაუფიქრებლათ აყვენ და დამოუკიდებელი, მხნე და პატიოსანი კაცები თავიდან მოიშორეს, ცხადია, ბოლოს ავი დღე დაუდგებათ [illegible] გამოსწო[illegible]

დიახ! ჩემ მოვალეობათ ვთვლი გავახსენო ფოთელებს: ის გზა, რომე ნ. ნიკოლაძეს ისინი მიყავს, მოლიპუ და ფეხი დაუსრიალდებათ! სიფრთხ მართებთ!

რაც შეეხება ნ. ნიკოლაძის უკანასკნელ პოლიტიკურ გამოსვლით, [illegible] მოლოდინს გადააჭარბა. მისი ამხედრება ავტონომიის წინააღმდეგ იმდენათ უმწეო, უსაბუთოდა უიარაღოა, რომ მიხრწნილი მოხუცის უძლურ ჩიფჩიფს მოგვაგონებს. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ვიწრო ფინანსიურ შეხედულებას ვერ გასცილებია. პირველი დეპუტატების არჩევის დროს, მახსოვს მან ამ რჩეველთ მოახსენ[illegible] როგორც ვითომ უცილობელი ფაქ[illegible] იმ, სადაც ავტონომია და ფედერა[illegible] არის, საზოგადო დაწესებულებანი მეტ ხარჯს ითხოვსო. მაგრამ ის კი არ მოაგონდა, რომ [illegible] ბიუჯეტის მეტი წილი სახალხო განათლებას, გზებს, აქიმობას და სხვა კულტურულ საქმეებს ხმარდება. და, რაც საკვირველია, კრინტიც არ დასძრა იმის შესახებ, რომ ნამდვილი მოქალაქობრივი თავისუფლება მხოლოდ ავტონომიურ ფედერატიულ ქვეყნებში არის განხორციელებული.

და მისი უკანასკნელი მოქმედება ხომ იმათაც კი გაუკვირდათ, ვისაც მისგან აღარაფერი უკვირს. კიტა აბაშიძეს რომ ცილი დასწამა, ფოთის მტერიაო, და პატივცემული ეპ. ლეონიდი რომ გააშავა, ამას არ დასჯერდა და ახლა ბრძოლა გამოუცხადა ყველას, ვინც კი მის ბიუროკრატიულ დახავსებულ მიმართულებას არ იზიარებს, მაგრამ, თუ ნ. ნიკოლაძე თავის გულისთქმას მთლათ არ დაუბრმავებია, საკმაოა თავისი ფხიზელი გონების მცირეოდენი ნაშთნი მოიკრიბოს, რომ თვალი აახილოს და დაინახოს, რომ მის მრუდსა და უკუღმართ გზა-კვალს გონიერი და პატიოსანი კაცი არ მიყვება, და ბედითი ყორანი მას საშინელ დამარცხებასა და დაცემას უქადის, თავს დასჩხავის! ჯერ კიდევ არ არის გვიან! და, თუ იმ გზასვე დაუბრუნდება, რომელსაც ნორჩი ახალგაზრდობის დროს ად[illegible] ჩამომავლობა დანაშაულს, გზა-დაბნეულობას, აპატიებს და მისი სახელი ჩვენს გულ[illegible] თფილ ბინას კვლავ მოიპოვებს. ურო,

---

ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე.

„კოლხიდა-იმერეთი“-ს კაზმული მწერლობა.

(სახალწლო ესკიზები).

(ნ. ლორთქიფანიძე, ჯ. ჯორჯიკია, დ. მესხი, გუცა, სევდიანი, მ. უზნაძე, ცვარ-ნამი, კ. აბაშისპირელი).

(დასასრული, იხ. „იმერეთი“ № 3).

5.

წერილის თავში მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს მწერლობა თავისებურია და რომ ეს თავისებურობა უფრო ნათელყო „კოლხიდა-იმერეთი“-ს მწერლებმა. მათ მოურიდებლათ გასწყვიტეს ძველ ტრადიციებთან და ახალ ჰანგზე, რომელსაც გმობდენ და გმობენ დღესაც, ააჟღერეს ქნარი.

ისინი არ დაერიდენ ამ ახალ მოტივებსა და ახალ ფორმებს. ამ მხრით განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან: ჯ. ჯორჯიკია, გუცა და სევდიანი. ბ-ნ ჯორჯიკიას დღეს მრავალგან იხსენიებენ, მაგრამ არც ერთს არ აღუნიშნავს—რაში გამოიხატება მისი ნიჭის ორიგინალობა.

საკვირველი ის არის, რომ ბ-ნი ჯორჯიკია, როგორც მხატვარი ღარიბია და მარტივი, მაგრამ სწორედ ამ სიღარიბეშია მისი ძლიერება და სიმარტივეში მისი მრავალფეროვანებაც.

ჯორჯიკიამ სხვაზე უფრო სისწორით აულო ალღო თანამედროვე მკითხველს, იგი მიხვდა, რომ ჩვენ მოგვბეზრდა მრავალგვარი სურათებით აღწერილი სახეები, მთელ საღებავთა ხროვა და არევ-დარევა და ამგვარი სახე სილამაზის შთაბეჭდილებას ველარ ახთენს მკითხველზე; რადგან იგი დეტალებიდან მშვენიერების სიმბოლომდი ვერ აღწევს და იკარგება. ამიტომ იგი ჩვეულებრივ, მარტივ და სადა სახეს ხმარობს და ერთის კალმის მოსმით ხატავს სურათს. სახეების სუბუქი საღებავებით თანდათანობით გამოხატვა ჯორჯიკიას მანერას არ შეადგენს.

ამიტომ მოგახსენეთ, რომ იგი ღარიბი მხატვარია-თქო; იგი სუსტია ფერების აკრეფაში, მრავალ შედარებათა გამოსახვაში, მაგრამ სამაგიეროთ მისი სურათი თვისი სიმარტივითა და სისადით იმდენათ ძლიერია, რომ მას ფიზიოლოგიურათ განიცდის მკითხველი.

ჯორჯიკიამ თითქოს გასწყვიტა ძველ ფორმასთან კავშირი, მაგრამ არსებითად იგი ამ ფორმებს იტევს. როცა იგი ამბობს: მშვენიერი ციცინო, ლამაზი ქალწული—აქ თვით მკითხველიც შემოქმედათ იქცევა და იგი ამ მშვენიერებას იმ სახით წარმოიდგენს, რა სახითაც უფრო შეეფერება მას და ესთეტიურათ ატკბობს მის ინდივიდუალურ გემოვნებას; ამავე დროს სურთას რომელიმე ხელოვანის შემოქმედების სახეს აძლევთ და იგი თანდათან იშლება... თქვენ კი არ ხედავთ—განიცდით რომ მოქანდაკე კლდიდან დიდრონ ქვებს აგორებს და მოურიდებლათ, მოუფიქრებლათ დიდ სატეხს ურტყამს და ორი-სამი დაკვრით სახეს აქანდაკებს, რომელიც მტკიცეა, მაგრამ დეტალები მისი არა ჩანს და ყველა ჩვენგანს თავისებურათ ესახება.

მარტო მას შეუძლია ერთ წინადადებაში მთელი სურათი დახატოს და ცოცხლათ წარმოგვიდგინოს. „კეკლუცი ბაღის ერთ კუთხეში ცაცხვის ძირას სოსანივით თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზდა ქალის გვერდით ჭაბუკი იჯდა“.

„ნელი სიო მიმოზის ფოთლებს ოდნავ არხევდა, ქალწულს ხელთ ქოლგა ეპყრა და შორს გაიყურებოდა.

ყმაწვილს თავი მუხლზე დანდობილ ხელზე დაეყრდნო და ქალს უსიტყვოთ შეყურებდა“. (მუსიკა) აქ ყველაფერი ნათელია და გარკვეული—თქვენ გრძნობთ ორი არსების იდუმალ გრძნობებს, ჩუმ, უმხელ სიყვარულს, მათ ლამაზ, უსიტყვო ტანჯვას. ასეთის ღარიბის სახეებით, ორის სიტყვით იგი ხსნის გარეგნულ მშვენიერებას და სულის ღრმა ტრაგედიას.

ამრიგათ ის, რაც შეადგენს თანამედროვე მწერალთა სისუსტეს თავის გაჭიანურებულ მრავალ სახეობით, განუწყვეტელის სურათოვნობით, სრულებით აკლია ბ-ნ ჯორჯიკიას.

და საკვირველი არ არის, რომ ამ სახეებისა და სიტყვების ეკონომიით მან ყურადღება მიიპყრო, როგორც ერთადერთმა და მოდის მწერლათაც გადაიქცა.

ამასთან ერთად საკვირველით ეგუება მის ფორმას შინაარსიც ყოველის მინიატიურისა. თითოეული ეტიუდი დამთავრებულია თავის პატარა შინაარსით. ჯორჯიკიას შემოქმედების სულის ჩამდგმელი ისეთი ჩვეულებრივი, ყოველდღიური და სადა მოვლენებია, რომელთაც ჩვეულებრივი ადამიანი უმნიშვნელოთ გვერდს აუვლის... მაგრამ ხელოვანმა უნდა ამ ყოველდღიურობაში მარადისობის ჰანგები დაგვისახოს, მათზე ჩაგვაფიქროს და მისი აზრი ახსნას. ნამდვილი მხატვარისათვის ეფექტები და კატასტროფები საჭირო როდია! ამ მხრით ახალგაზდა მწერალი ორიგინალური და თავისებურია, იგი არ ჩაითვლება ეფექტების მიმდევრათ, მაგრამ ყოველი მისი პატარა სურათი თავისთავათ დიდი და ჩამაფიქრებელია.

ეს პატარა ნაწყვეტები იწვევენ ფიქრებს ხელოვნებაზე, მშვენიერებაზე, სულის უკვდავებაზე და სხვ.: ხელოვნება დროს გარეშეა, მისი სიძლიერით გატაცებული ვერ ამჩნევს დროის გავლენას, მის მნიშვნელობას... მთელი საიდუმლოება სულისა მხოლოდ ხელოვნების საშვალებით მეტყველობს, რადგან იგი დღიურ ჭირ-ვარამთან, სიდუხჭირე-სინამდვილესთან კავშირს გაწყვეტინებს და გრძნობას მარადისობაში ამკვიდრებს... თავისუფალი, ლაღი და შეუმცნებელია მის წიაღში სულის ხვეულების თამაში და საიდუმლოებათა გადმოშლა. (იხ. მუსიკა) ხელოვნება თავისუფალია, იგი სტიქიური ძლიერების მატარებელია, მაგრამ ეს ძლიერება ღვთიურია და მიუწდომელი მომაკვდავთათვის; თვით ხელოვანიც კი ვერ იმორჩილებს მას და, წინააღმდეგ, მისივე მორჩილი ხთება. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ვერ მისცემენ მას სასურველ მსვლელობას, რადგან მისი კანონი მიუწდომელია... და რაკი მხატვარი მოინდომებს მეფის მრისხანება ლმობიერათ დასახოს და ჭეშმარიტებას უღალატოს, თვითვე სასიკვდილოთ დამარცხდება და ხელოვნება კი მაინც თავის ჭეშმარიტების გზით ივლის... (იხ. „თავისუფალი შემოქმედება“) სხეულით დამარცხებული და მოთელილი ჭაბუკი ხელახლა ენერგიით აღიჭურვება და გიჟობასა და ვნებულ სიმთვრალეს განიცთის, რა მოიგონებს „ლამაზ ქალს, რომელსაც ერთხელ ყოლოს ფერი ტუჩებიდან კოცნა მოსწყვიტა“ და მას შეიპყრობს ოცნების ძალა, რომლის წინ ხორციელი ტკივილები არარათ იქცევა (იხ. „ოცნება“)... ქალის გულის თავისებურობაც იშლება აშკარათ ახალგაზდა მგოსნის წინ.

მაგრამ აქ ყველა ეგ უნდა თვით განიცადო, რომ მისი საიდუმლოება ახსნა და იგრძნო.

პირადათ ჩემთვის „ქალთა კითხვა“ არსებობდა მხოლოდ-და გაკვრით, იმდენათ, რამდენათაც მათი სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური უუფლებობა მათ პასიურ ელემენტებათ ქმნიდა; აქიდან საკმაო იყო ამ ფეხის გადადგმა, ემანსიპაციის იდეის გამარჯვება, რომ ქალ-ვაჟობა ერთად შედუღებულ იყო და ერთ-არსათ გამხთარიყო.

მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვა მაჩვენა; ქალთა საკითხი, ჩემის აზრით, იქ იწყება, საცა სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაცია მკვიდრდება...აქ არის თავისებურობა მისის სულისა, რომელსაც ქალი თვითონ არ აჩენს და რომელსაც მამაკაცი ვერას გზით ვერ ახსნის... მამაკაცი, შეპყრობილი სიყვარულის ძლიერებით აქ მხოლოდ ახალ სახეს ქმნის ქალისას და ამ იდეალურ სახის ჰურჭელს ემპირიულ ქალში ხედავს, მას იყვარებს. აქ არის ტრაგედია მამაკაცისა...

როგორია ქალის სიყვარული? იგი უფრო გონიერია, მას ყოველთვის შეუძლია ობიექტი ცალკე გამოყოს. მას, უკეთ ვსთქვათ, თავისი სიყვარული უყვარს მეორე სქესში ვნებათ ქცეული... ნამდვილათ კი მხოლოდ მაშინ შეიყვარებს, როცა მამაკაცის აქტიურობა, სიცოცხლე მოკვდება, როცა ქალისადმი სიყვარული მოკვდება.

ქალი მაშინ ღვრის ცრემლებს მონათ უფროსის ვალის წინაშე, როცა მას მკვდარს იხილავს და მხოლოდ იმის გამო, სტირის, რომ მონა მისი გულისათვის მოკვდა... ამდენათ ეგოისტურია ქალის ბუნება. („ქალის გული“).

მრავალ საყურადღებო ეტიუდების ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ, სამწუხაროთ ამ ხანათ მცირედით უნდა დავკმაყოფილდეთ.

რაც შეეხება ჯორჯიკი ნაკლს [illegible]რესათ იგია, რომ მკითხველ[illegible] რომლს ხშირათ თვითვე კისრულობს და [illegible] ფერი დასკვნა და აზრი თვითვე გამოყავს.

იმავე სურათს—„მუსიკა“—ასე ამთავრებს, მაგალითად, ჯორჯიკია: „მუსიკა ცელქობდა, თითქოს უხაროდა, რომ ამ ორი არსების გულის შეერთება ასე მალე შესძლო“..

გარდა ამისა იგი სრულ უმწეობას განიცთის როცა, სურს დროის შესაფერი და გამოსადეგი ნაწარმოები მოგვცეს; ასეთებია მაგალითად: „სადარბაზო ბარათი“, „დეპუტატი“, „ორი ბარათი“ და სხვ.

აქ ტენდენცია ხელოვნებას აფერხებს და მის თავისუფლებას წინ ეღობება.

წინასწარ განსაზღვრულ გზას არა თუ ხელოვანი, უბრალო მომაკვდავიც კი ვე შეეგუება ხანდისხან და აქაა ძლიერება ჯორჯიკიას „მერცხალა“-ს იდეიისაც.

6.

ახალგაზდა გუცას ეტყობა, რომ იგი რყევაშია, ჯერ დაუდგომელი, მაგრამ მიუხედავათ ამისა მას თავისებური ნიჭი აქვს და, რაც უფრო საყურადღებო და აღსანიშნავია, იგი სულ ახალ მოტივს დამღერის და მისი შემოქმედების ობიექტი იქ აშკარათ და შეცნებულათ ისახება, საცა მას ან განგებ გაურბოდენ, ან საკმაოთ ვერ სახავდენ მის ძლიერებას.

ჯერ აღსანიშნავია მისი ძველიდან ახალ გზაზე გადასვლა; ეს ძველი მას წარსულის მწერლებმა უანდერძეს. ეს არის ჩვეულებრივი სინამდვილის გავლენა პოეტის შემოქმედებაზე; მაგრამ ამ პირველ ნახევარსაც მან გრიშაშვილის მდიდარი სახეები მისცა.

აი ერთი ამათგანიც:

„მწვანე ბალახს ვერცხლის ცვარი
თავს უქარგავს, კოცნით ნამავს...
ამომავალ მზის სხივებზე, როს ტოროლ
ფრთას-ფრთას სტყორცნის
და ალისფერ ცის არშიას მოკრძალებით
გადაკოცნის“.. და სხვ.

როცა ბუნება ასე ლამაზათ ხარის, ლაღობს, მიშინ პოეტიც „ბედისწერის მამდევარ ჩანგს“, სიამით აჟღერებს; ხოლო რაკი სურათი იცვლება და ჯოჯოხეთურ სიცოცხლე ისახება, პოეტის ქნარიც მა შეუთანხმდება და მწარე ნაღველს აფრ ვევს.

ახალი ამბავი.

მგოსნის გრ. აბაშიძის ძმამ, პეტრე ქავ-
რაძეს პეტერბურგს გაუგზავნა დამოწ-
მული საბუთი, რომლითაც მან უნდა
მდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ
ბა დართონ მგოსნის ნაშთის გადმოსვე-
ნის თაობაზე სამშობლოში.

✦ ქუთაისში ამ ქამათ ძალიან ცოც-
ყინვები დაიჭირა, სიცივე 13 გრა-
უსამდი იყო გუშინ დილით.

✦ დღეს პრივატ-დოცენტს ივ. ჯავა-
შვილს ლექცია უნდა წაეკითხა ქუთა-
როგორც გამოცხადებული იყო ამ
ვითმართველობა მე-
რომეტე საუკუნეში",
და ახლა გა-
12 ან 13 იან-
1. ისტორიის სა-
ლოვნების" პროგ-
თი და წყარო ქარ-
2. ხელოვნების ტერმინე-
ძველ ქართულ ლიტერატურაში. 3.
რო და საეკლესიო ხუროთ მოძღვრე-
ბა (ეკლესიები, მონასტრები, სასახლეები,
ციხეები, კოშკები და სხ.) 4. ქანდაკება,
ზე ამოჭრილი ჩუქურთმები და ორნ-
ამენტიკა 6. მხატვრობა, ეკლესიების ფრეს-
ები, მინიატურები და მინანქრის ხელოვ-
ნება 7. ჩამოყალიბების ხელოვნება 8.
სოვილები, ტანისამოსი, და მისი ისტო-
რია, თავსახურავი, იარაღი და სხვადასხვა
მკაულები ძველ საქართველოში. 9. სა-
ერთო მიმოხილვა ქართულის ხელოვნე-
ბის განვითარებისა.

ამ ძრიად საინტერესო ლექციის დროს
ნდოვანს სურათებს აჩვენებენ.

✦ მიწათმოქმედებისა და მიწათ-მოწ-
ყობის მთავარ სამმართველოს გადაწყვე-
ტილი აქვს, წელს განსაკუთრებითი ყუ-
რადღება მიაქციოს კავკასიის მებამბეობას
და შესაფერ დონეზე დააყენოს. ამ აზრით
განზრახული აქვს, დიდათ გადააკეთოს
გადართოვის ბამბის მოსაყვანი საც-
დელი მინდვრები მუღანოსა და ყარაიაზ-
და გააშენოს 60 სანერგე ამიერ-კავ-
კასიის იმ ადგილებში, სადაც ბამბა ხეი-
რობს. ამ აზრის განსახორციელებლათ სა-
სამართველომ უკვე შეიტა-
მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში.
რუსეთის [illegible]
[illegible]
მე-VIII [illegible]
განხილულ [illegible]

ბა თფილისის საბირჟო კომიტეტისა, რომელიც სთხოვს კრებას, მხარი დაუჭიროს საუღელტეხილო გზის გაყვანის საკითხს.

✦ იანვრის 4 და 5 შავიქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომები აქვს.

✦ მკითხველს ემახსოვრება, რომ ქუთაისის სახალხო სასწავლებელთა დირექტორმა გაუგებარი მიზეზების გამო არ დართო ნება ჭიათურის საქალაქო სასწავლებელს ნ. წუწუნავას სამოსწავლო წლის დასრულებამდი ესრულებია ამ სასწავლებლის გამგეს თანამდებობა. ბ-ნმა წუწუნავამ საბჭოში თხოვნა შეიტანა ამის გამო გეთავისუფლებიათ იგი გამგის თანამდებობის ასრულებისაგან.

✦ ყოფილი სახალხო შკოლათა ინსპექტორი დღეს სამსახურს გარეშე მყოფი ბ. სუდაკოვი სთხოვს შავიქვის მრეწველთა საბჭოს, ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის ადგილი მისცენ.

✦ ექიმები ვას. ზერეკიანი და გ. ხირსელი თხოულობენ შავიქვის მრეწველთა საავადმყოფოში ექიმის ადგილს.

ომი ბალკანეთზე.

დეპეში.

ბუდაპეშტი. სლოვაკის ორგანოს „სახალხო ნოვინები"-ს რედაქტორს მარტინ ვაიანსკის ათი დღის ციხე გადაუწყვიტეს და გაზეთი გაუჩერეს, რადგან მან მონაწილეობა მიიღო სლავიანების წითელი ჯვრის სასარგებლოთ შემოწირულებაში.

„სლოვენსკი დენიკი" იუწყება: პრესბურგის გარნიზონებში მრავალ ჯარის კაცებს დიდი ხნით დატუსაღება მიუსაჯეს, რადგან ამათ ბალკანეთის სახელმწიფოების სასარგებლოთ შემოწირულება გამართეს და აფიცრების წინაამდეგ წაქეზება დაბრალდათ.

ლონდონი. საღამოს გაზეთები ხმებს ავრცელებენ, თითქოს პორტა ადრიანოპოლის დანებებაზე დათანხმდაო.

ბერლინი. როგორც ოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან: სამთა კავშირი მონაწილეობას არ მიიღებს დიდ სახელმწიფოთა ზღვაზე დემონსტრაციაში სტამბოლის წინ. გერმანიის აზრით საერთო ნოტა ისე უნდა შეადგინონ, რომ [illegible] თმა კიდეც არ მიიღოს იგი მაინც [illegible] ბელი იქნეს მოლაპარაკების გა- [illegible]

[illegible] რადგო. მეფე თანხლებთან უკეთაა.

[illegible] ს. ოსმალეთის კრეისერმა „მეჯიდიემ" ღამით ნისლით ისარგებლა, გაიარა შეუმჩნევლათ საბერძნეთის კონტრ-ნაღმიანი გემების მახლობლათ და წამლისა და ნახშირის საწყობს სროლა დაუწყო მაგრამ ზიანი ვერ მიაყენა. შემდეგ ყუმბარა ელექტრონის სადგურს დაუშინა და დააზიანა.

სალამოს „მეჯიდიემ" 15-ჯერ ესროლა ზარბაზანი დამხმარე კრეისერს ,,მაკედონიას'', რომელიც ნავსადგურში იდგა, გემი ,,მაკედონიის'' უფროსის შეშინდა დაცალა გემი და დროებით დაძირა. ,,მეჯიდიე'' მცირე აზიის ნაპირებისკენ წავიდა. ოსმალეთის დანარჩენი ხომალდები სრუტიდან არ გამოსულან.

ათინის სააგენტო იუწყება. არქიპელაგის კუნძულების მცხოვრებლებმა იტალიელთა ოკუპაციის დროს ოსმალეთთან ომის დაწყებამდი სურვილი განაცხადეს საბერძნეთთან შეერთებაზე. კუნძულების მცხოვრებნი ხშირათ მიმართ[illegible]ნ თხოვნით ამის შესახებ ხან საბ[illegible]თს, ხან დიდ სახელმწიფოებს და [illegible] კიდევ ლონდონის კონფერენცია[illegible] სთხოვს მაგრამ იტალიის მთავრობა ყოველთვის წინ ელობებოდა მათ პატრიოტული გრძნობის გამოხატვას,--საბერძნეთის დროშის ამართვისა და დეპეშის გზავნის ნებას არ აძლევდა. მიუხედავათ ამისა კუნძულის მცხოვრებლებმა დღეობაზე მაინც აამართეს საბერძნეთის დროშა. იტალიის მთავრობამ ძალა იხმარა მათზე, მრავალი გაფანტა და ორიც დაატუსაღა და შებორკილი როდოსში გაგზავნა, პრეფექტურამ ამის წინააღმდეგ პროტესტი გააცხადა და სამსახურიდან გავიდა. იტალიის გენერალმა კუნძულ მინოსციდან როდოსში ადმინისცია გადაიყვანა და გამოაცხადა, რომ ყოველი ამის გვარი მოქმედება რევოლუციონურ მოძრაობათ ჩაითვლება და დამნაშავეებს სასტიკათ დავსჯიო.

ქართული თეატრი

ოთხშაბათი, 2 იანვარი.

გუშინდელი წარმოდგენა ქართულმა დრამატიულმა დასმა ავქ. ცაგარლის ხსოვნის აღსანიშნავათ გამართა, როგორც პროგრამიდან სჩანდა: გუშინ ათი წელი წადი უნდა შესრულებულიყოს ნიჭიერ დრამატურგის სიკვდილს შემდეგ—ხოლო ბ. ალ. გარსევანიშვილმა თავის რეფერატში აღნიშნა—ცაგარელი რვა წელიწადის რაც გადაიცვალა და არა ათიო...

დიდი დაკმაყოფილებული დარჩა დამსწრე საზოგადოება ბ. ალ. გარსევანიშვილის რეფერატით, მეტათ ლამაზს და მოხდენილ ფორმებში ჩამოაყალიბა მან თავისი ტემა—ავქ. ცაგარლის შესახებ.

ლექტორი, პირდაპირ არ შეუდგა დანიშნულ თემას; იგი წინასიტყვაობაში შეეხო ქართული თეატრის ისტორიას: „ქართველთა უმრავლესობას გონია, რომ თეატრალური წარმოდგენები ჩვენში დაიწყო მხოლოდ ვორონცოვის დროიდან ე. ი. 1845 წლ. ასეთი აზრი შემცთარია. ქართველებმა ვორონცოვის მოსვლამდიც იცოდენ, რა არის თეატრი და რა მნიშვნელობა აქვს სასცენო წარმოდგენებს. ჩვენ წინაპრებს თეატრის სახელი დიდიხანია გაგონილი ქონდათ და ესმოდათ მისი კულტურული დანიშნულება; მხოლოდ ბევრი მიზეზისა გამო ვერ მოაწყვეს ეს საქმე... ან რა ეთეატრებოდათ, როდესაც ქვეყანას გარშემო მტრები ეხვიაა მიუხედავათ ამისა მე 18 საუკ. დასასრულს მაინც მოაწყვეს თეატრალური წარმოდგენები. 1790-1795 წ. თფილისს. და თელავში იმართებოდა წარმოდგენები და ხალხი დიდის ხალისით დაიარებოდა თეატრში. ორგვარი წარმოდგენები იმართებოდა: ერთი მაღალ წრისათვის—მეორე საზოგადოთ ხალხისათვის. ამ დროს ბევრი ახალგაზდა ქართველი რუსეთში სწავლობდა; ამათ გაიცნეს თეატრის საქმეც და როცა დაბრუნდენ სამშობლოში, განიზრახეს თეატრის დაარსება—გულწრფელი ალტაცებით შეუდგენ ამ საქმეს: ზოგი ორიგინალურ პიესებს სწერდა, ზოგი თარგმნიდა, ზოგიც მსახიობის როლს ასრულებდა.

პირველათ ითამაშეს დრამა „მეფე თეიმურაზი" დავ. ავალიშვილის მიერ დაწერილი, შემდეგ დადგეს კომედია, იმავე ავალიშვილისა, „რქის მატარებელი." —ეს პიესა ხალხს ისე მოეწონა, რომ მისი გამეორება მოითხოვეს.

დავ. ავალიშვილმა ორიგინალური პიესაც დასწერა სახელათ „ძუნწი და უხვი". —აქ ერთი მოქმედი პირი ამბობს, თუ რამდენ ტანჯვას ითმენს მდაბიო ხალხი და როგორ დევნიან საწყალ ადამიანს მდიდრები. დავ. ავალიშვილის გარდა სხვებიც წერდენ და თარგმნიდენ პიესებს; სხვათა შორის დ. ჩოლოყაშვილმა გადმოთარგმნა რასინის პიესა „იფიგენია"—იგი დაბეჭდილიცაა.

წარმოდგენებში მხურვალე მონაწილეობას იღებდენ თვით ტახტის მემკვიდრე --დავით ბატონიშვილი და მისი მეგობრები. ქალების როლებს ირაკლი და გიორგი, მეფეების ქალიშვილები ასრულებდენ. იმ სახლს სადაც წარმოდგენები იმართებოდა ქართველები „პალატას" ეძახდენ. თეატრალურმა წარმოდგენებმა ისეთი ალტაცება გამოიწვიეს ჩვენში, რომ ღვდელმაც—კი მიიღო მონაწილეობა; ამ საქციელმა აღელვა არქიელი და დაუწყო დევნა ამ ლიბერალ ღვდელს, უკანასკნელმაც სახუმარო ლექსი გამოუთქვა ქვის-ოზს.

სახალხო წარმოდგენების მოთავეთ იყო გაბრიელ მაიორი, რომელმაც რუსეთში მიიღო განათლება, მას უყვარდა თეატრი და ცთილობდა როგორმე საქართველოში წარმოდგენები მოეწყო.

გაბრიელ მაიორმა ისე დაინტერესა ქართველები ამ წარმოდგენებით, რომ თვით სამეფო პირნიც მოდიოდენ თეატრში. აქ უფრო იაფ ფასიანი ბილეთები იყიდებოდა, თუმცა ძვირფასი ადგილებიც ყოფილა. ჩვენამდი მოაწია ერთმა ბილეთმა, რომელზეც ლექსი აწერია: „შაური ერი, გაბრიელ მაიორი."

1795 წელს თფილისი მიწასთან გაასწორეს, დაანგრიეს ის სახლიც, სადაც წარმოდგენები იმართებოდა ექვს წელს შემდეგ საქართველო რუსეთს შეუერთდა და ვორონცოვის დრომდი ქართულ წარმოდგენებზე არავის ხმა არ ამოუღია.

წინასიტყვაობას შემდეგ ლექტორი პირდაპირ ტემას შეეხო. მან მოკლეთ მაგრამ მარტივათ განუმარტა დამსწრეთ ავქ. ცაგარლის ნაწერების უმთავრესიძარღვი.

ავქ. ცაგარელიო სთქვა ლექტორმა—ერთ დროს ქართული დასის მსახიობი იყო—კომიკური ნიჭია შემკული, ზოგიერთ როლებს განსაკუთრებით—კინტოსას სამაგალითოდ თამაშობდა; ხოლო სახელი მან მოიხვეჭა არა მსახიობის მოღვაწეობით, არამედ მწერლობით.

1878 წლ. სიკვდილამდი ცაგარელი სწერდა პიესებს და ამით გაამდიდრა ჩვენი ღარიბი თეატრალური რეპერტუარი. იგი ორიგინალურ პიესებსაც სწერდა და თარგმნიდა კიდეც. გიორგი ერისთავს შემდეგ იმდენი სასცენო პიესები არავის დაუწერია, რამდენიც ცაგარელმა დასწერა. პიესების შინაარსს ცაგარელი ჩვენი ცხოვრებიდან იღებდა, ცოცხალი ენით სწერდა და ხელოვნურათ ასურათებდა მომქმედ გმირებს. პიესები არ არიან მოკლებული ეფექტებს, მხოლოდ ავტორის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მისი ნაწარმოების შინაარს ერთგვარობა. მის საუკეთესო პიესათ, სამართლიანათ, „ხანუმა'' ითვლება. ცაგარელის მსოფლმხედველობა მეტათ ოპტიმისტურია და ცალმხრივი, მის გმირებს უყვართ მხიარული ცხოვრება და მომავალზე ისინი ცოტას ზრუნავენ.

დადებითი ტიპები ინტელიგენციის წრიდან ძალიან სუსტათ აქვს დასურათებული ავტორს. ცაგარელს საყვარელ გმირებათ ქალაქელი კინტოები მიაჩნია და მათი პირით სიცოცხლის მიმართ მთელი ჰიმნი წარმოსთქვა, უმთავრესი საგანი ამ

მნიშვნელობა ეძლევა ობი-
დვილის სურათს ლექს-

ძინავს ტყე-ველს".

„მინდა მღერარა"—ამბობს პოეტი, „რა
ვიმღერო,
როს დამზრალა ტურფა მხარე?
სტირის მშვენება ზაფხულისა
და ცრემლებს ღვრის გულმწუხარე?..
რა ვიმღერო... როს სამშობლო
გაყინულა, გათოშილა,
როს იმის შვილთ საოცნებოთ
დარჩენიათ ტურფა დილა?...
რა ვიმღერო, ოდეს მდელო
მთრის სუსხით სულსა ღაფავს
თ მოძმეთა ქლეტით მტერი,
როს წინ იწევს, გზას იკაფავს?..

ეს ჰანგები ჩვენთვის არ ახალია—ძვე-
ლია; მრავალჯერ გვსმენია ამგვარი ეროვ-
ნულ-მოქალაქობრივ მოტივებზე ნამღერი
ნარი. ამ შემთხვევაში ბ-ნი გუცა არც
ორიგინალურია და არც ძლიერი.
აქ მას ბევრათ სჯობს მეორე ახალგაზ-
და პოეტი „კოლხიდი"-სა მ. უზნაძე, რო-
მელიც სავსებით იცავს ძველ ტრადი-
ციებს და სოციალ-პოლიტიკურ უკუღ-
მართობას საკმაოთ კარგათ გვისახავს.
მაგრამ მეორე ნახევარში კი ბ-ნი გუცა
ეტათ ორიგინალური, გაბედული და სა-
ინტერესოც ხდება. თუ პირველ ხანებში
ისი სინამდვილე ჩვეულებრივი სინამდვი-
ლეა, მეორეში უკანასკნელი სულ იცვლება
წარმავალ, უბრალო, უსიცოცხლო სუ-
სახეს იღებს... აქ იგი აშკარათ
მეორე სინამდვილის, პოეტურ
დამცველათ და თაყვანისმცემლათ;
ქვეყანა მხოლოდ შემოქმედის მსოფ-
და ამ პოეტურ სინამდვილესთან
ულისა და რაციონალურის საზო-
ვერ მივა უბრალო მომაკვდავი. მისი
ოდ განცდა შეიძლება და ხელოვა-
ს, ამ სხვისთვის იდეალურ ქვეყანას, ფი-
ორგანიზმის გრძნობით განიცდის...
არსებობს მომაკვდავთათვის უც-
ქვეყნის გრძნობა, მაგრამ, რაკი იმის-
შესაფერ სახელს ვერ პოულობს,
ჩვეულებრივის გრძნობითი სახელს აძ-
ლევს.
სალის ლოღიკით ამ შემოქმედთან ვერ
იხვდეს, აქ იგი სავსებით დამარცხდება-
და; ეს კარგათ ესმის გუცასაც, როცა დასძენს: „ის, რაც სხვისთვის მიუწდომელია, ჩემთვის ანბანურ ჭეშმარიტებას შეადგენს".

პოეტური სინამდვილე მისთვის უფრო ძლიერია, მისი ფანტაზიით შექმნილი სახე „უფრო მეტყველია--ვიდრე შენი ტლანქი სინამდვილე... მასში მარხია საიდუმლო ჩემი არსებისა და შემოქმედების... მე მას განვიცდი, მე იგი მიყვარს! იდუმალება! აი რა გვაკავშირებს ჩვენ. ვეტრფი სხეულს ჩემ მიერ შექმნილს! იგი უფრო სულიერია ყოველ სულიერზეც კი"!..

ეს ჰანგები, როგორც ეს სინამდვილე, სულ ახალია ჩვენს მწერლობაში, რომელიც მარტოოდენ „რეალურ ძალთა განწყობილებას" სახავდა დღემდი.

7.

თუ გუცა კიდევ რყევაში იყო ამ პოეტურ სინამდვილის სამეფოში შეჭრა უძნელდებოდა პირველ ხანებში, ბ-ნი სევდიანი პირდაპირ მიიჭრა იმ ქვეყნიურ, ზეციურ სინამდვილესთან და მიწიერი არაჩვეულებრივის სიამაყით დაგმო...

ბ-მა სევდიანმა ამ ქვეყნათ სილამაზე იმდენათ განიცადა, რამდენათაც მის წიაღში ზეციური მშვენიერება ისახებოდა, მაგრამ მან ამჯობინა ამ სილამაზისა და ლაღობის ობსოლიუტის ზიარება, მასში ნეტარებით განცხრომა და მიწას ზურგი უჩვენა.

ზეციური მშვენების მატარებელია „ქართველი ქალიც და ამის გამო უფრო უყვარს იგი ბ-ნ სევდიანსაც:

„ქართველ ქალო, ვარდათ შლილო,
ნაზო ია!
თვალწარმტაცო, ფრთა გაშლილო
ფანტაზია!
მითხარ ჩემო გულის მზეო, სულის
მთვარევ!
ეგ მშვენება ზეციური ვის მოპარე"?..

და აი, ასეთ ზეციურ მშვენიერებას მიწიერი ქვეყანა ტლანქის ხელებით ეხება და მის მშვენებას აზრობს... მაგრამ პოეტური ბუნება ამ საშინელ სინამდვილეს ვერ ურიგდება. მას არ უნდა იწამოს, რომ სიმბოლო მშვენიერებისა, პოეტური შემოქმედების ობიექტი ჩაიფერფლება და გაქრება... მას სწამს მხოლოდ მარადიული, ვით ხელოვნება შემოქმედისა. აქ იწყება მიწისა და პოეტის ბუნების ბრძოლა და უკანასკნელი ქმნის გამარჯვების ილიუზიას, რომელიც ხელახლა ფრთას ასხამს მის შემოქმედებას. აქ ის თვის არსებას, რომელიც ქვეყნიერების მატარებელია ორათ ყოფს და პირველს ამარცხებს იმიტომ, რომ მეორე უკვდავი ყოს.

სხეული, მტვერ მოკვდება, მაგრამ სული პოეტისა, ცეცხლოვანი და ძლიერი უკვდავია:

,,მაგრამ სიკვდილს გული ქვისა,
ვერ ემონა, ვერ ეთვისა
ჯოჯოხეთის ცივმა სუნთქვამ
ვერ ჩააქრო ცეცხლი ღვთისა...
და მეც ვყვირი: ,,შენ სიკვდილო!
ქენჯნე ხორცი, ქენჯნე მტვერი!..
სულს ვერ მოკლავ,—ის ჩემია!
სხვა შენ გქონდეს ყველაფერი''!..

ამ მიწის გმობიდან და სულის უკვდავების აღსარებიდან ერთი ნაბიჯია ზეცამდი.

ის, ვისაც სწამს მარადისობა და სულის უკვდავება მის შესაფერ ბინასაც ეძიებს და ცხადია მხოლოდ ზეცაზე პოებს მას... და ზეცამაც უძმო პოეტს:

,,ხომ ხედავ, რომ მიწას გული
ტყვილათ ანდევ, ანაცვალე?
მაშ რას უცდი დაგმე მიწა,
ამოფრინდი ჩემთან მალე''!..

და, როცა პოეტი მიწას განშორდა და ცათ დასადგურდა უკანასკნელმა შეეკითხა: ხომ ნეტარობ?

ხომ, ხომ მოგწონს ჩემი ბინა''?

ამის პასუხათ იგი ,,გულს მიეკრა, გულს ჩააკვდა, ოქროს ცრემლი დაედინა''!..

ამ რიგათ იმ დაგმობილ ზეცაზე, რომელიც ახალგაზდა პოეტთა საფრთხობელა გამხდარა, იმ ზეცაზე, რომელიც ქვეყნიურ და მიწიერ სწრაფვა-ლტოლვას სავსებით მოწყვეტილია, მხოლოდ იქ პოვა პოეტმა შვება და ,,იქ'', ამბობს იგი,

,,წავიკითხე ჩემი მცნება
გული ხარობს, გული ლაღობს
სევდა სტირის, სევდა კვდება''...

და ამ ზეციურ განყენებულ, მეტაფიზიკურ ბედნიერებას, საძირკვლათ დაედო ემპირიულ ქვეყნითი ტლანქი ძალით და სინამდვილით უკმაყოფილება...

ამ ახალ იდეათა სამეფოში, რომელიც პოეტისათვის უსრულესი სინამდვილეა, ბ-ნი სევდიანი ,,სევდიანი'' აღარ არის.. იგი ლაღობს და ციურ ჰანგებით ნეტარობს.

8.

შედარებით ზემო აღნიშნულ პოეტებთან ბ-ნ მ. უზნაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას არ ახასიათებს ამ მხრივ ორიგინალობა; იგი ერთგული დარჩა ძველის მწერლობისა, რომელთაც მიწიერ უსამართლობის ასახვა და მასთან ბრძოლის წყურვილის გაღვივება ახასიათებს.

ბ-ნ უზნაძისათვის ყოველი მოვლენა, თვით ზეციერათ მიჩნეულიც კი, ამ ქვეყნათ ჩამოტანილია და ემპირიულ, ახსნილ სინამდვილის სახეს ატარებს:

„შენს დახურულ ცფიერ სახეს
დრომ მანდილი გადახადა
და ზექვეყნის საიდუმლო
მარტივ მცნებად გაგვიხადა...
დრომ წაშალა ქვეყნის მკერდზე
ჯადოსნური შენი ძალა
და დღეს ზეცის ჰარმონია
მიწის ჰანგზე შეიცვალა''!..

პოეტი ძველ ჰანგებს ახალ, სუბუქ და ლაღ ფორმებში ხვევს; თუმცა ,,მარგალიტის ფრქვევა'', ,,იის გულმკერდის ქარგვა'', ,,ცელქი ნაკადულის ლიკლიკი'' მეტათ ხშირია მის ლექსებში, მომაბეზრებელიც არის ზოგი მოყიჭებული ფორმები, მაგრამ, სამაგიეროთ ხანდახან ორიგინალურ სახესა და შედარებას შეხვდებით, რომელიც პოეტურ ენას ალაღებს და ახალ მხატვრობას შლის.

ამ მხრივ სულ ახალია ბ ნ უზნაძის მიერ ნახმარი: ,,გულთეთრა სუმბული'', ,,ცელქ ტალღა ნაკადული'', ,,ცელქ ფრთა ლაღი'', ,,თვალ ჟუკჟუკა ვარსკვლავთ კრება და სხვ. მრავალი.

9.

რაკი ფორმის ორიგინალობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ახალგაზდა პოეტი, რომელსაც სულ რამდენიმე ლექსი დაუწერია, მაგრამ მეტათ ცოცხლათ, მკვირცხლათ და ლამაზათ.

მე მოგახსენებთ ,,ცვარ-ნამზე''... ვის არ ახსოვს მისი პირველი ლექსი ,,კოლხიდა''-ში, სადაც მან ასეთი ნიჭი გამოიჩინა და ყველასათვის მობეზრებული და მობერებული კვნესა ცრემლთა დენაზე მან ახალის ძლიერებით დაგვისახა...

მან აღიარა, რომ ,,ცრემლის წიაღში იშვა და აღიზარდა'' და, რომ ,,აკვანშივე დედის ცრემლი გულს დაეცა, გადაკოცნა''...

პოეტს აქვს განსაკუთრებული ნიჭი ბუნების სულის მოძრაობის აღწერისა... იგი ასე ვთქვათ ბუნების აქტივობის პოეტია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს აქტივობა მისთვის იქ გამოსჩანს, საცა ჩვენთვის იგი ჩვეულებრივი მდგომარეობაა ბუნებისა. ამიტომ არის, რომ იგი თავისებურათ, ორიგინალურათ განიცდის ბუნების სახის მოძრაობას; ამ მოძრაობაში იგი მსოფლიო აზრს დაეძებს და ამ ძიების პასუხათ ყველგან ცრემლის მსხვრევის ხმა მოისმის; ტირილშიც ხომ ერთგვარი აზრია დაკარგულ ბედნიერების სევდის მხილება...

და აჰა პოეტის წინ არათუ უბრალოთ მიგორავენ გიჟ ალაზნის ლამაზი ტალღები, არამედ იგი მწარეთ გოდებენ და მოსთქვამენ... რაზე? ამას ქართველის გული თუ მიხვდება მარტო:

,,სიჩუმეა... მხოლოდ ტალღა,
ცელქი ტალღა კვნესის გოდებს...
გულნატკენი ალაზანიც
შექვითინებს კლდეს და ლოდებს''.

ცვარ-ნამს მეტათ მდიდარი პოეტური ფანტაზია აქვს და მისის წყალობით მხოლოდ მოძრაობა ესახვის თვალწინ—მოძრაობა უსულოსი, განცდა და გაპიროვნება ბუნების მოვლენათა. ამ ორიგინალურ სახეთ ორიგინალური ქნარიც სჭირია და პოეტიც აღიარებს, რომ ,,ყორნის ფრთებს ხმარობს ოცნების ქნარათ''.

პოეტის კალმის ქვეშ ბუნება ცოცხლობს, მოძრაობს და ეს მოძრაობა პირდაპირ იჭრება ავტორის სულში, უკანასკნელი, ამ ჩვენთვის უცხოს, ფიზიოლოგიურათ გრძნობს.

მას ახასიათებს ძლიერი და ინტენსიური წარმოდგენა, რომელიც ფანტასტიურ სინამდვილეს ნამდვილ სინამდვილის სახეთ შლის და ხელსახებათ ქმნის.

...,,და აქაფებულ ზღვის გიჟ ტალღებზე, კვნესის, ზუზუნობს გაკივის ქარი. ხან სურს—ფანჯარა შემომიმტვრიოს, ხან შემოგლიჯოს ოთახის კარი''...

აი, ასეთი ცოცხალი და გიჟური ვნე-

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი ჭიქეუ-
რისა და ფაიანსის ჭურჭლეული: სასტუმ-
ლისა და მანის საქონელი, საუკეთესო
ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე
ემალ გამოვლებული, ჭურჭლეული თეთრი

მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლოვი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და [illegible] საფენი [illegible] ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი ყობილი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. **ფასები მეტათ დაკლებულია.**

ცნობილი აბრეშუმის თესლი

მიღებულია

ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმო-დგენელი მთელ ამიერ
კავკასიისა სავაჭრო სახლი

ი. ზოა[illegible]ელოვის შვ-ბი

ქუთაისში

9

სიცოცხლისა არის სიყვარული და უდარდელი ცხოვრება.

დასასრულ ლექტორმა შენიშნა დამსწრეთ, რომ ჩვენს წარმოდგენებს ხალხი არ ესწრება ისე, როგორც სასურველია. ამიტომ კასა ნახევრათ ცარიელია და მსახიობის ბედ-იღბალი ბეწვზე კიდია. დგება ისეთი მომენტიც, როცა საქმის მოთავენი სასოწარკვეთილებას გრძნობენ. როდემდის უნდა გასტანოს ასეთმა მდგომარეობამ? თეატრისადმი ასეთი მოპყრობა ნიშნავს მის უარყოფას! ყველა ჩვენგანს გვწამს ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ამ დაწესებულებისა, მაშ თუ ასეა გავაძლიეროთ საშუალება, გავამდიდროთ სალარო და უზრუნველვყოთ თეატრი! აი, მაშინ გვექნება უფლება წარვუდგინოთ საქმის მოთავეებს დიდი მოთხოვნილება, ახლა—კი შეუძლებელს ნუ მოვთხოვთ, რადგან ჩვენ მაყურებელნი თეატრს ცოტას ვაძლევთ: ღრმათ გვწამს, რომ ჩვენი თეატრი თუ კარგ პირობებში ჩავაყენეთ—აასრულებს იმას, რასაც ნამდვილი ხელოვნება მოითხოვს. ამ იდეალს მივაწევთ, თუ-კი ჩვენი ხალხი არა მარტო ინტელიგენცია არამედ დემოკრატიული ნაწილიც მხარს დაუჭერდეს ამ დიად საქმეს. ლექტორი დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა.

ახლა ორიოდე სიტყვა პიესის—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“-ის შესრულებაზე: ბ. შარაშიძე—თავ. დავ. ჯამბარაშვილის როლში ერთობ სუსტი იყო; მან სრულიად ვერ შესძლო დასურათება ყეყეჩი თავადის ტიპისა. არადელი-იშხნელი კარგი მოურავი იყო, თუმცა მას რაღაც უხალისობა ეტყობოდა. ბ. ურუშაძემ იმერელ ბიჭის კოხტიას როლი—ჩვეულებრივ ცოცხლათ შეასრულა; სოუმეხ ავეტიკას როლში ბ. გვარაძე—ზოგიერთ ადგილებში კარგი იყო, საზოგადოთ კი ჩვენ უფრო კარგ შესრულებას მოველოდით ბ. გვარაძისაგან, ვინაიდან ახალგაზდა მსახიობი საერთოდ სომხების როლს კარგათ ასრულებს, მაგრამ გუშინ ჩვენი მოლოდინი, სამწუხაროთ, გაგვიცრუვდა. ბ. იმედაშვილი კარგი კინტო გიქუა იყო, ქილარჯიშვილის ქალმა თავისი თამაშით სრულებით ვერ დაგვაკმაყოფილა, საზოგადოთ ამგვარი როლები მსახიობ ქალს არ ეხერხება. ამირეჯიბის ქალი სავსებით დაგვისურათებდა სოფლის გოგოს ტიპს, რომ ხმის ჩახლეჩილობას ხელი არ შეეშალა... საერთოდ პიესამ გვარიანათ ჩაიარა და დანარჩენი მომქმედნი პირნიც ცდილობდენ ანსამბლისათვის ხელი შეეწყოთ. წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო.

სიმ. დესპინეშვილი.

3 იანვარი.

ბით, უანგარიშო სურვილებით აღტყინებულა სადა და უბრალო ბუნების მოვლენა და პოეტი, ავით უძლური, მაგრამ ძლიერი სტიქიონის მონათესავე—მის წინ მისტიურ შიშსა და ობლობას გრძნობს და ოთახში იკეტება...

ორიოდე სიტყვა ბ-ნ აბაშისპირელის ზოგ ლამაზ ლექსებზე.

მან მეტის სისწორით ასახა ვაჟის უანგარო და უანგარიშო სიყვარული ქალისადმი, მაგრამ თვით ვაჟის ტრაგედია ისაა, რომ ქალი მუდმივსა და გარკვეულ სახეს არ ატარებს, არ აჩენს, იგი თვალთმაქცია და თვის მრავალფეროვანებაში კარგავს ვაჟის სულის ძლიერებას, უკანასკნელს უნებოთა და უსულოთ ხდის.

,,შენი სული'', ამბობს პოეტი, „იცი
გიჟო, მე აჰმელონს შევადარე,
მასავით რომ სახეს იცვლი, მიტომაც
აგრე შეგიყვარე,
შენი სული ლურჯი ზღვაა უძირო
და უნაპირო
შენ რას გიშლის ჩემი სული სამსხვერპლოზე შემოვწირო''...

რაკი აბაშისპირელზე ლაპარაკი ჩამოვარდა, ბარემ მის მიერ თარგმნილ ჰეინეს ,,აი, რა ქმნა ლორელეიმ''-ზეც მოგახსენებთ ორ სიტყვას. როცა ეს ლექსი (მშვენივრათ თარგმნილი) წავიკითხე, სწრაფლ წარმომიდგა მთელის სიძლიერით თანამედროვე მგოსანთა უმწეობა. ეს პატარა ლექსი საცა უნდა იყოს და რა დროსაც აღარ დამავიწყდება. რატომ? იმიტომ რომ შიგ აზრია, არაკი ფაბულა ლამაზ ფორმაში ჩამოსხმული. თქვენ აგერევათ ,,ია, გულმკერდ ღია'', ,,ზურმუხტი ნამის მძივით ქარგული'', რადგან ამ პრჭყვიალა სილამაზეში არაკი, სული არ მეტყველებს. ლორელეის ლამაზ სიმღერას ყურს უგდებდა მენავე ,,დავიწყოდა ნიჩაბ-საჭე, იქვე წყალში სიპი ქვაცა... ვაგლახ ნავი ჩაიძირა, ხმა გაკმიდა ტალღათ ბგერამ... აი, რა ქმნა ლორელეიამ, აი რა ქმნა მის სიმღერამ''!..

ასე მისდევენ ლამაზ ხმებს ჩვენი მწერლებიც დღეს, მისი აზრი და გზა დაივიწყეს და ვაი თუ ჩაიძიროს ჩვენი მწერლობის ნავიც. ჩქარა, საჭეს ხელი მოგობრებო.

აკაკი შანავა.

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

1912 წ. ათი დეკემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი ყოველდღიური
საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„მერცხალი“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით 2 მ. და 10 შ., თვიურათ ქუთაისში—4 აბაზათ, ქუთაისს გარეთ 18 შ.. ცალკე ნუმრის ფასი უველგან ერთი შაურია საზღვარგარეთ—14 მან. განცხადება. პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 3 შ., უკანასკნელზე—2 შ.. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი—**პ. ბაბუნაშვილი.**

ფულის გამოსაგზავნი მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქ. რაჟდენ დიმიტრის ძე მიქაძეს.

რედაქციის მისამართი: პუშკინის ქ. სახლი ჭეიშვილისა. № 12.

3 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამო-დის ყო-ველდღიური საპოლიტიკო-
და სალიტერატურო- გაზეთი

„ჩვენი დროება“.

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—3 აბ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—3 შ., მეოთხეზე—2 შ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ი. ანდრონიკაშვილი, არტემ ახნაზაროვი, გ. ამირაჯიბი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, გ. გვაზავა, ვ. გუნია, დ. დუმბაძე, დავით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ი. ვართაგავა, ეგ. იოსელიანი, დ. კასრაძე, ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ანტ. ნატროშვილი, იასე რაჭველი, მ. ჯანაშვილი, გრ. ყიფშიძე, კ. თუმანიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ ,,Закавказская Рѣчь''. Телефонъ №—12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი) ერ. დ. გორდელაძე
) მ. გაჩეჩილაძე.



ფილიპე ნ. ჭელიძის

შამპანიურ
„თამარ მეფე“ და
„კოლხიდა“



ОТЪ МИНИСТЕРСТВА ЗЕМЛЕДѢЛІЯ И ГОСУДАРСТВЕННЫХЪ ИМУЩЕСТВЪ
ЗА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ

ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურეობით.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა

ქუთაისში მიტანას ფირმა ასრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.

მ სამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.

მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

КНИГИ изд. С. А. КОЗЛОВСКАГО для самообученія: Рѣш. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариф., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур., 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго ч. ч. I и II; 5) Арбузова и Ко; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Кліоновскаго; 11) Минина; 12) Вулиха 13) Давидова; 14) Бычкова; 15) Стеблова; 16) Злотчанскаго; 17) Воинова и др. Скидка 20% при Башей перес. Подроб. объявл. съ образц. рѣш. зад. высилаю безплатно. Выписивать исключ. по адресу: **Бѣлая-церковь Кіев. губ., С. А. КОЗЛОВСКОМУ-**

გ. გორდამის და ს. წერეთლ

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პ[illegible]), სად[illegible]
ტიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მი[illegible]

ძმ. ე: [illegible] [illegible]

საავაჭრო ძი, ქუთაისში.

(პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევ[illegible] ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩებ[illegible] ლიან ცოტა არის მოსული.

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაის[illegible]

ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები, ველოსიპედები, საქსოვი და საკერავი მანქანები, გიტარები და მათი მოწყობილობა. ყიდვა შეიძლება, როგორც ნაღდზე, აგრეთვე ნისიათ [illegible] შემ[illegible]ტანით).

მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება უველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამო[illegible] ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

ვაჭრობასა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფ[illegible]

საკომერციო ცოდნათა კურსე[illegible]

ტ. მ. ფილოიანისა, თფილისი, მიხეილის პროსპექტი,
24—4, ტელ. 976.

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურ[illegible] თავრებას შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაკტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავ[illegible] ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში) Muster comtoir-ში მასალები რეალურ[illegible] რებიდან აიღება:

საგნები: ა) სავალდებ: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანულ[illegible] რიგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) [illegible] რი ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, საექსილო წესდება). 5) კომერციულ[illegible] რესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორა, ხელის გასწორებ[illegible] სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაკტილოგრაფია (რემინგტ[illegible] სხვადასხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ბევრი მსმენელის მოგროვების, გამო იხსნება ახალი პარალელური განყო[illegible] რომელიც ძალიან ხელსაყრელია ქალაქ გარეშეთათვის.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულათ. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით [illegible] საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იაავრიდან პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებ[illegible] ველებს უფასოთ კურსების სადგომიდან, კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობს სავაჭ[illegible] აჭრო სახლებში ალაგის საშოვნელათ მიმდინარე წელს სულ 228 მსმენელი იყო, ამათგან [illegible] თველი.

თხოვნები მიიღება 1 იანვრიდან.

ელექტრო-საბ[illegible]ვი ფერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.